ოქმი:**ო12.37221221**

თარიღი:**02/05/2022**

ოქმი № 9

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

2022 წელი, 29 აპრილი

ქ.ოზურგეთი

12.00-13.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ქეთევან ხომერიკი - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები : მ. ჩხიკვიშვილი, მ. ვაშალომიძე, ხ. თავდიშვილი, ს. ქარცივაძე, ნ. სარჯველაძე, ნ. ნადირაშვილი, ი. თუთბერიძე, ს. ქარცივაძე, ვლ.ხავთასი.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა.ა.ი.პ ცენტრალური ბიბლიოთეკის მიერ 2021 წელში გაწეული საქმიანობის შესახებ.

მომხსენებელი: ქ. ხომერიკი

თანამომხსენებელი: ლ. ბაქანიძე

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ქ. ხომერიკი

3. ა.ა.ი.პ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანების მიერ 2021 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი: ქ. ხომერიკი

თანამომხსენებელი: გ. ტარაპაიძე

4. კომისიაში შემოსული წერილის შესახებ.

მომხსენებელი: ქ. ხომერიკი

სხდომის თავმჯდომარემ, ქ. ხომერიკმა, მოკლედ ისაუბრა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების მუშაობის მნიშვნელობაზე, ხოლო გაწეულ

საქმიანობაზე კომისიის წევრებს ინფორმაცია მიაწოდა თანამომხსენებელმა-ლ. ბაქანიძემ, მოხსენების შემდეგ მანვე უპასუხა დასმულ შეკითხვებს. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და გადაწყვიტეს ინფორმაციის ცნობად მიღება.

სხდომის თავმჯდომარემ ქ. ხომერიკმა კომისიის წევრებს გააცნო მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი პროექტი- „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“, კომისიის წევრებმა მოისმინეს და იმსჯელეს აღნიშნულ დადგენილების პროპექტზე და მიზანშეწონილად მიიჩნიეს მისი საკრებულოს სხდომაზე წარდგენა განხილვა-დამტკიცების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ, ქ. ხომერიკმა, კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანების მიერ 2021 წელში გაწეული საქმიანობა, ვრცლად კი ამავე საკითხზე ისაუბრა თანამომხსენებელმა გ. ტრაპაიძემ. მოხსენების მოსმენის შემდეგ პასუხი გასცა დასმულ შეკითხვებს, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიიღეს გადაწყვეტილება ინფორმაცია მიეღოთ ცნობად.

სხდომის თავმჯდომარემ ქ. ხომერიკმა კომისიის წევრებს გააცნო კომისიაში შემოსული წერილი, რომელზეც მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილება.

გადაწყვიტეს:

1. დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი აქტის პროექტი: „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ შეტანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად და დასამტკიცებლად.

2. ინფორმაციები მიღებულ იქნას ცნობად.

ქეთევან ხომერიკი

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი